პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 128 (3105)

5 ივლისი. 1966 წ. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# ისევ ომარ ფხაკაძე!

ვერა (გდრ) ადგილობრივ ველოტრეკზე გაიმართა 7 ქვეყნის სპორტსმენთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება სპრინტში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის „გრან პრიზზე“ (დიდი პრიზი).

ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს ჩემპიონის ო. ფხაკაძისა და ამავე ჩემპიონატის II პრიზიორის, იტალიელი ჯ. ტურინის „დუელი“. იტალიელი ველოსიპედისტი ქართველ სპორტსმენს სან-სებასტიანში დამარცხების შემდეგ არ შეხვედრია. იგი მთელი წლის მანძილზე ემზადებოდა რევანშისთვის, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდა. ფხაკაძემ მას ორივე ცდა მოუგო და მეორედ მოიპოვა საპატიო „გრან პრი“.

III-IV ადგილებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ გეშკე (გდრ) და ვერზინი (იტალია). დაძაბული პაექრობა იტალიელის გამარჯვებით დამთავრდა. გეშკე IV ადგილზე დარჩა.

4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში I ადგილი ტრეკის მასპინძლებმა მოიპოვეს, რომლებმაც ბოლო წრეზე უკან ჩამოიტოვეს იტალიელები და აჩვენეს საკმაოდ მაღალი შედეგი — 4.43,0.

# 3 მედალი „ნაადრევად“

ოდესა, 4 ივლისი. გუშინ აქ დამთავრდა ძმები ზნამენსკების მემორიალი, რომლის დროს „ნაადრევად“ გათამაშდა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები 20 და 50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში, აგრეთვე, მარათონულ რბენაში.

20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ყველას აჯობა მინსკელმა ბ. ხლოროვიჩმა — 1:30.31,4.

50 კილომეტრზე სპორტულ სიარულში სვერდლოვსკელმა სპორტის ოსტატმა გ. აგაპოვმა იასხელა თავი — 4:15.17,0.

მარათონულ რბენაში ყველასათვის მოულოდნელად ოქროს მედალი წილად ხვდა ახალგაზრდა მოსკოველ სტაიერს ა. სახაროვს — 2.21.17,4.

# ახალი ამბები

● ლენინგრადი, 4 ივლისი. კავგოლოვოში მდებარე ტბა ხეპო-იარვიზე გაიმართა საკავშირო შეჯიბრება საბაიდარო ნიჩბოსნობასა და კანოეში. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 19 წლის უკრაინელმა ა. შაპორენკომ, რომელმაც ერთადგილიანი ბაიდარით 1.000 მეტრზე რბოლაში 4.04,6 აჩვენა და 5 წამით მოუგო II პრიზიორს, ოლიმპიელ დ. მატვეევს. შემდეგ შაპორენკო გამოვიდა ოთხადგილიანზე ი. სტეცენკოს, ვ. კარიუხინსა და ვ. მოროზოვთან ერთად. ამ კვარტეტმა 1.000 მეტრზე ყველაზე კარგი დრო — 3.15,2 აჩვენა. რიგელებმა ი. ირვემ და ო. ლებედევმა 10.000 მეტრზე რბოლაში მოუგეს ოლიმპიურ ჩემპიონებს ნ. ჩუჟიკოვსა და ა. გრიშინს — 42.37,6.

● ორიოლი, 4 ივლისი. მსოფლიოს ჩემპიონი, პოლონელი ი. ვრუბლევსკი და ლიტველი ქალი რ. გარმუტე გამარჯვებული გამოვიდნენ პლანერისტთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების პირველ სახეობაში. ვრუბლევსკიმ თავისი პლანერით 150 კმ (75 კმ პირდაპირზე, სტარტზე დაბრუნებით) დაფარა 1 საათში, 47 წუთსა და 15 წამში, ხოლო გარმუტემ — 1:53,15. ტურნირში მონაწილეობენ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ია, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის სპორტსმენები. შეჯიბრება გრძელდება.

● სოჭი 3 ივლისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის X ტურში კორჩნოიმ მოუგო ბრადვარევიჩს (იუგოსლავია) და 7,5 ქულით შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. კროგიუსი და პოლუგაევსკი ერთმანეთს შეხვდნენ და ყაიმზე შეთანხმდნენ. 7-7 ქულით ისინი II-III ადგილებზე იმყოფებიან. ყაიმით დამთავრდა სპასკი — მატულოვიჩის (იუგოსლავია), ლეინ — ფუქსის (გდრ), ზახაროვ — სერგიევსკისა და ბერტოკ (იუგოსლავია) — ორტეგას (კუბა) პარტიები. ანტოშინმა მოუგო ვლადიმიროვს, ხოლო ბობოცოვმა (ბულგარეთი) — პარცას (უნგრეთი). 6-6 ქულა მოაგროვეს სპასკიმ, მატულოვიჩმა, ლეინმა, ზახაროვმა და ანტოშინმა, ოღონდ ამ უკანასკნელს 1 პარტია გადადებული აქვს სერგიევსკისთან. ორშაბათს ტურნირის მონაწილეები დაისვენებენ, 5 ივლისს კი გაიმართება XI ტური.

● მოსკოვი, 4 ივლისი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზში დაიწყო მოცურავეთა საკავშირო პირველობა. ასეთი მრავალრიცხოვნობა ჩვენი ქვეყნის არც ერთ ჩემპიონატს არ ახსოვს. 600 ოსტატი საცურაო ბილიკზე ერთმანეთს ეცილება არა მარტო ოქროს მედლებს, არამედ ევროპის პირველობაზე ჰოლანდიის ქალაქ უტრეხტში გამგზავრების საგზურებსაც. პირველად ტარდება ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატები ცალცალკე. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ხარკოველ ლ. ხაზიევას 0,5 წამი დააკლდა საკავშირო რეკორდამდე. მისი დროა 2.38,5. ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, სევასტოპოლელმა გ. პროზუმენშჩიკოვამ დღის საუკეთესო დრო აჩვენა ბრასის სტილით 100 მეტრზე ცურვაში — 1.19,8, ხოლო ამ დისტანციაზე მსოფლიო რეკორდსმენს, ტაშკენტელ ს. ბაბანინას ნახევარფინალში მხოლოდ III შედეგი — 1.21,8 ჰქონდა. მაგრამ ეს მას ხელს არ შეუშლის გააგრძელოს ბრძოლა ოქროს მედლისთვის. შეჯიბრება მიმდინარეობს მეხიკოს ოლიმპიადის პროგრამით.

● მოსკოვი, 4 ივლისი. ლუჟნიკის სპორტის სასახლე მზადაა მიიღოს მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი. 32 ქვეყნის სპორტსმენები იასპარეზებენ 6-16 ივლისს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. ასეთ დიდ ტურნირში პირველად გამოვლენ ირანისა და მაროკოს წარმომადგენლები. ბოლო მომენტში შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი თქვეს ნორვეგიელებმა და მათ მაგივრად იასპარეზებენ კუბის სპორტსმენები. 6 ივლისს ბრძოლაში ჩაებმებიან რაპირისტები, ხოლო მეორე დღეს მსოფლიო ჩემპიონის ვინაობაც გაირკვევა.

# კალათბურთელთა რესპუბლიკურ ფორუმზე

ქუთაისი, 4 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ქალაქის კალათბურთის ცენტრალურ სტადიონზე გუშინ დაიწყო საქართველოს პირველობის გათამაშება.

მოგვყავს პირველი კალენდარული დღის ტექნიკური შედეგები:

ქალები. „დინამო“ (თბილისი) — ქუთაისი 65:30, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — რუსთავი 53:17, უნივერსიტეტი (თბილისი)—აფხაზეთი 57:23, აჭარა — გორი 58:33.

ვაჟები. „დინამო“ (ქუთაისი) — რუსთავი 61:28, უნივერსიტეტი (თბილისი) — აფხაზეთი 81:62, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — აჭარა 74:52, „ლოკომოტივი“ (თბილისი) — წულუკიძე 57:42.

# უკანასკნელი საათი!

◆ ბერლინი, 4 ივლისი. „250-იანების“ კლასში მსოფლიო ჩემპიონატის XI ეტაპი მოიგო ჩეხოსლოვაკიელმა მოტოკროსმენმა პ. დობრიმ. მოსკოველმა ვ. არბეკოვმა II ადგილი დაიკავა, ხოლო რიგელმა გ. დრაუგსმა — III. ათეული „ჩაკეტა“ ახალგაზრდა კიეველმა ლ. შინკარენკომ. 11 ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში კვლავ წინაა შვედი ტ. ჰალმანი — 55 ქულა. 22 ქულით V ადგილზეა ვ. არბეკოვი.

◆ ბუდაპეშტი, 4 ივლისი. მარგიტის კუნძულის აუზში ცურვის ისტორიაში მეორე შედეგი მოიპოვა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში მოსკოველმა მოსწავლემ, 13 წლის ი. პოზდნიაკოვამ — 2.46,1. უკეთესი დრო მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიადის ოქროს მედალოსანს გ. პროზუმენშჩიკოვას აქვს ნაჩვენები — 2.44,6 (მსოფლიო რეკორდი).

◆ აკიტა (იაპონია), 4 ივლისი. ძალოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში თავისივე მსოფლიო რეკორდი იუნიორთათვის 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა ქვემსუბუქი წონის სპორტსმენმა ი. კუმადამ. 19 წლის სტუდენტმა სამჭიდში აჩვენა 355 კგ (105 + 110 + 140).

◆ მოსკოვი, 4 ივლისი. მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატზე დამყარდა პირველი საკავშირო რეკორდი. მისი ავტორია ხარკოველი ტ. დევიატოვა, რომელმაც 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში აჩვენა 2.37,3, რაც მოსკოველი ზ. ბელოვეცკაიას წინანდელ რეკორდს 4,3 წამით ჯობს.

# თბილისში ჩამოვიდა შვეციის უფლისწული ბერტილი

4 ივლისს ყირიმიდან თბილისში ჩამოვიდა შვეციის უფლისწული, სრულიად შვეციის სპორტკავშირის თავმჯდომარე ბერტილი. მოგზაურობაში უფლისწულს ახლავან სტოკჰოლმის გუბერნატორი ა. ნურდენსტამი, შვეციის პარლამენტის დეპუტატი ჰ. ალარდი, შვეციის სპორტკავშირის დირექტორი ბ. ბენგტსონი, შვეციის ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის თავმჯდომარე პ. სტრიომბეკი, შვეციის ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარე ბ. ეკლუნდი, აგრეთვე, უფლისწულის პირადი ადიუტანტი, მაიორი ბუშემანი.

შვეციის უფლისწულთან ერთად ჩამოვიდნენ შვეციის ელჩი სსრ კავშირში ჰ. იარინგი, აგრეთვე, შვეციის მოსკოვის საელჩოს მრჩეველი გ. ლუნდსტრემი.

სტუმრებთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კ. პ. ჟაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი ფ. მ. მალგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. ბ. ტრაპეზნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების მეორე მდივანი ვ. ე. მოუაევი.

აეროდრომზე შვეციის უფლისწულს ბერტილსა და მის თანამგზავრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გიგოშვილი, საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს — საქინფორმის დირექტორი ვ. ჭიაურელი და სხვ.

შვეციის უფლისწულმა ბერტილმა კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ჩამოსვლის გამო და მადლობა გადაიხადა გულწრფელი მასპინძლობისათვის.

# 4:0

გეტებორგი, 4 ივლისი. სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა ბოლო მატჩი გამართეს ამ ქალაქის ნაკრებთან, რომლის 4 წევრი შვეციის ეროვნულ გუნდში თამაშობს.

გაიმარჯვეს სტუმრებმა — 4:0 (1:0). ბურთები გაიტანეს საბომ (11-მეტრიანი საჯარიმოდან), ჰუსაინოვმა, ბანიშევსკიმ და მალოფეევმა.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: იაშინი, პონომარიოვი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ოსტროვსკი, საბო, ჰუსაინოვი, პარკუიანი, მალოფეევი, ბანიშევსკი, ჩისლენკო. ითამაშა აფონინმაც.

# 200 კმ საათში — წყალზე

ძრავიანი სპორტული ნავებით ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდი — 156,63 კმ საათში — დღემდე ამერიკელ ჩ. პოუელს ეკუთვნოდა. საშუალოდ ამ სიჩქარით გაიარა პოუელმა 1-მილიანი „საჩვენებელი მონაკვეთი“ (1609 მ). მისი რეკორდი დიდხანს ვერავინ გააუმჯობესა, თუმცა ეს რამდენიმეჯერ კინაღამ შეძლო ინგლისელმა ავტომრბოლელმა და ძრავიანი საწყლოსნო სპორტის დიდმა მოტრფიალემ დ. კემპბელმა.

დაახლოებით ერთი წლის წინ დასავლეთგერმანელმა სპორტსმენმა კრისტოფ ფონ მაიენბურგმა მიზნად დაისახა ამერიკელის რეკორდის გაუმჯობესება. საგანგებოდ ამ მიზნით აიგო იტალიაში ძრავიანი ნავი, რომელსაც „მატეა უშ“ დაარქვეს. როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „ბუნტე ილუსტრირტე“ წერს, „ეს სარბოლო ნავი საოცრად ძვირი დაჯდა, ვინაიდან მისი ბევრი ნაწილი ხელით გაკეთდა“.

და აი, როგორც იქნა, ფონ მაიენბურგმა აიღო სტარტი დასავლეთ გერმანიაში, ტბა ვერტერზეეზე. „მატეა უშმა“ დიდძალი მაყურებლის თვალწინ თანდათან უმატა სიჩქარეს და ტბის მოსარკულ ზედაპირზე გასრიალდა. მსაჯებმა „საჩვენებელ მონაკვეთზე“ წამმზომები ჩართეს. შედეგი მართლაც მოულოდნელი აღმოჩნდა — 194,7 კმ საათში! ძველი რეკორდი დაეცა.



სურათზე: კ. ფონ მაიენბურგი „მატეა უშით“ გადის „საჩვენებელ მონაკვეთს“.

ფოტო ჟურნალ „ბუნტე ილუსტრირტესი“.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# მსაჯები შეაშინა... მსოფლიო რეკორდმა

ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების მძლეოსანთა მატჩში შინ საგრძნობი უპირატესობით გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრები წვრთნის გასაგრძელებლად ბალტიისპირეთს გაემგზავრა. ვარჯიშის პროგრამა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებში ჩვენს მუდმივ მეტოქეებთან — ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის მძლეოსნებთან სამ მატჩსაც ითვალისწინებდა. ჩვენმა ათლეტებმა პირველი ასპარეზობა ესტონელებთან გამართეს, თუმცა, ვინაიდან შეჯიბრებაში ფინელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, ეს, ფაქტიურად, საერთაშორისო შეხვედრაც იყო. მასპინძელთა ნაკრების ბირთვს ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტობა შეადგენს, ამიტომ სარბიელად მათ სწორედ ეს ქალაქი აირჩიეს.

ესტონელები შეჯიბრებისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ და პროგრამის ყველა სახეობაში საუკეთესო მძლეოსნები გამოიყვანეს, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს გუნდზე. მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ჩვენი ნაკრები გამგზავრებამდე „დაზარალდა": ჯერ იყო და სტუდენტთა საზაფხულო სესიებმა კოლექტივს დროებით ჩამოაშორა სპორტის ოსტატები თ. როჟმანოვა და თ. მეჭურჭლიშვილი, ოსტატობის კანდიდატი გ. კონონენკო, პირველთანრიგოსნები მ. თათარაშვილი, თ. კლდიაშვილი და სხვ. მერე სპორტის ოსტატები მ. ოყროშიძე და კ. გორძემაშვილი სსრ კავშირის ნაკრებში მიიწვიეს. ამრიგად, საქართველოს გუნდი აშკარად უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. ჩვენი მძლეოსნების უმეტესობა მთელი ძალღონით ცდილობდა დანაკლისის ანაზღაურებას და საუკეთესო პირადი შედეგებიც აჩვენა მაგალითად. ვ. ქუთათელაძემ 200 მეტრზე რბენაში პირადი რეკორდი (25,2) დაამყარა და გაიმარჯვა, ლ. დარახველიძემ საქართველოს ათლეტთაგან პირველმა გადალახა სამხტომში 16-მეტრიანი ზღვარი (მისი მაჩვენებელი — 16,02 — რესპუბლიკის ახალი რეკორდია), ი. კოზელსკიმ 400 მეტრზე თარჯრბენში გაიმეორა საქართველოს რეკორდი (52,9) და სხვ. ჩვენს გუნდს ქულათა მაქსიმუმი შესძინეს ა. ანდრეევმა (100 მეტრზე რბენაში), ა. შჩერბინამ და ი. დელა-როსამ (20 კმ-ზე სპორტულ სიარულში), ი. ლოგუნოვმა და ა. კორნეიჩუკმა (1.500 მეტრზე რბენაში), ჯულიეტა ჩუბინიძემ (სიმაღლეზე ხტომაში) და სხვ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველამ ასე როდი გამოიჩინა თავი. საყვედური გვეთქმის ათჭიდელი ი. დიაჩკოვის მიმართ. იგი სპორტის ოსტატია რამდენიმე სახეობაში, აქ კი მარტო ბირთვის კვრაში სცადა ძალა და 6-დან 3 ცდა უშედეგოდ დაამთავრა, როგორც იქნა მიაღწია 14,72 მეტრს და ბოლო ადგილს დასჯერდა. შეჯიბრებამდე დიაჩკოვმა უდისციპლინობით შეირცხვინა თავი. მან აიყოლია ა. ანდრეევი და ი. კოზელსკი. და აი, ეს ვაჟბატონები დღის რეჟიმს არღვევდნენ, ერთხელ ღამის 3 საათამდე კი... „ისეირნეს". მართალია, გუნდის ხელმძღვანელობამ დროულად იმსჯელა ამის თაობაზე, უწესრიგონი საერთო კრებაზე გაკიცხეს და მკაცრად გააფრთხილეს, მაგრამ ნაკრებში უკვე იგრძნობოდა ბზარი. კოზელსკიმ და ანდრეევმა აღიარეს შეცდომა და დანაშაული ასპარეზობაში კარგად გამოსვლით გამოისყიდეს. დიაჩკოვმა კი, სსრ კავშირის შარშანდელმა ჩემპიონმა ათჭიდში (სხვათა შორის, იგი ადრეც იყო შემჩნეული უდისციპლინობაში), საყვედური არ მიიღო, პ ი რ ი ქ ი თ, სამართლიანი შენიშვნით განაწყენებულმა უარი თქვა 110 მეტრზე თარჯრბენსა და ჭოკით ხტომაში გამოსვლაზე მაშინ, როცა ორსავე სახეობაში უდავოდ გაიმარჯვებდა და გუნდს 10 ქულას შესძენდა. უსუსური შედეგები ჰქონდათ: უროს ტყორცნაში — ო. ართილაყვას, 800 მეტრზე რბენაში — ნ. ბახტაძეს, 400 მეტრზე რბენაში — რ. შჩიკოვსკაიას და სხვ.

მასპინძლები კი დიდი გულისყურით მოეკიდნენ ტურნირს, საგრძნობი უპირატესობითაც (200:156) გვაჯობეს და ამასთან, ესტონეთის 2 რეკორდიც დაამყარეს: ი. ტარმაკმა — სიმაღლეზე ხტომაში — 210 სმ და ი. ლიგანდმა — სამხტომში — 16,20 მ.

საქართველოს ნაკრები ტარტუდან ვილნიუსს გაემგზავრა. „ჟალგირისის" სტადიონზე სარბენი ბილიკებისა და სექტორების კაპიტალური რემონტი ტარდებოდა და სტუმრებს ვარჯიში მოუხდათ ახალგაზრდულ სტადიონზე, რომელიც ოდნავადაც არ იყო გამოსადეგი. სამაგიეროდ, ნაკრების მეკვეურებმა კარგად გამოიყენეს აქაური ბუნების სიუხვე — წვრთნის ციკლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყეში გადაიტანეს და სპორტსმენებიც უფრო მუყაითად ვარჯიშობდნენ.

მოახლოვდა მატჩის დღე. წინასწარ საორგანიზაციო თათბირზე, მასპინძელთა წინადადებით, ტურნირის პირობებში 2 შესწორება შეიტანეს: გადაწყვიტეს ლიტვისა და საქართველოს მძლეოსანთა მატჩის ნაცვლად ჩაეტარებინათ ამ რესპუბლიკების დედაქალაქების — ვილნიუსისა და თბილისის გუნდების ასპარეზობა და დააკმაყოფილეს შეჯიბრებაზე მყოფი ბაქოელი ათლეტების თხოვნაც. მეორე დღეს ქალაქში გამოკრული აფიშები მძლეოსნობის მოყვარულებს 3 ქალაქის მატჩზე იწვევდა.

ასპარეზობის წინ თბილისის კოლექტივს შეემატნენ ისინი, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ტარტუში ვერ გამოვიდნენ: კ. გორძემაშვილი მოსკოვიდან ჩამოფრინდა, თ. როჟმანოვა და გ. კონონენკო — თბილისიდან.

და როცა შეჯიბრების დაწყებამდე 2 საათიღა დარჩა, მოულოდნელად წამოვიდა წვიმა და ისედაც უვარგისი, ხელდახელოდ შეკეთებული ბილიკები და სექტორები მთლად უვარგისი გახდა. ბუნების ამ „სიურპრიზმა" განსაკუთრებით სპრინტერები და სიგრძეზე მხტომელები დააზარალა — რბილ გრუნტთან ვერაფერი გააწყვეს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მხტომელი, ვილნიუსელი ა. ვაუპშასი იძულებული გახდა გამარჯვებას მეტად მოკრძალებული შედეგით (711 სმ) დასჯერებოდა. ვაჟების ბედი ქალებმაც გაიზიარეს. ბოლო ცდამდე მათში მასპინძლების გუნდის წევრი ნ. ბერნოტაიტე ლიდერობდა, მაგრამ ვილნიუსელს გამარჯვება, რომ იტყვიან, ხელიდან გამოაცალა გ. კონონენკომ — 573 სმ.

პირველი დღის შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო 1.500 და 10.000 მეტრზე რბენა იყო. 1.500-მეტრიან დისტანციაზე მასპინძელთა გუნდში გამოდიოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრი, გამოცდილი სპორტსმენი ა. ალექსეიუნასი. მან თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო რბენა. გამოწვევა მეტოქეებმაც მიიღეს. მასპინძელი თანდათან დაწინაურდა და მისი გამარჯვება თითქმის აღარ იწვევდა ეჭვს, მაგრამ ფინიშამდე 300 მეტრი რომ დარჩა, ი. ლოგუნოვმა პირდაპირ სპრინტერული სისწრაფე ჩართო, ჯერ დაეწია ლიდერს, მერე გაასწრო კიდეც და გაიმარჯვა — 3.52,5. ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია და 0,7 წამით ჯობს ლოგუნოვისავე ძველ მიღწევას. ალექსეიუნასმა 0,4 წამით წააგო. ზუსტად ამდენით აჯობა თბილისელმა ა. კურზანოვმა ა. ბარანოვასს 10.000 მეტრზე რბენაში. კურზანოვის შედეგია 30.39,1.

ამ დღეს საქართველოს კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა ჩვენმა დაუღალავმა მძლეოსანმა ა. შჩერბინამ. დიდი მტკიცება არ სჭირდება, რომ წლეულს იგი შესანიშნავ ფორმაშია: შჩერბინამ ეს დაადასტურა სვერდლოვსკის საკავშირო ტურნირშიც, როცა 30 კმ სპორტულ სიარულში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 2:17.21,4, რაც 4,6 წამით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს, რომელიც ლენინგრადელ ა. ეგოროვს ეკუთვნის. ვილნიუსში შჩერბინა 10-კილომეტრიან დისტანციაზე ცდიდა ძალას: ფინიშთან რომ მივიდა, წამმზომებმა აღნიშნეს — 41.18,6 (ამით მან გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი), მაგრამ ვილნიუსელი მსაჯები, როგორც ჩანს, შეშინდნენ, ვერ წარმოიდგინეს, როგორ შეიძლება ჩვენს უვარგის სტადიონზე ვინმემ მსოფლიო რეკორდი დაამყაროსო და გამოსავალიც ნახეს — ალბათ, 1 წრით ნაკლები ვატარეთო, არც აცივეს, არც აცხელეს და წამმზომების მაჩვენებელს 2 წუთი მიუმატეს. ჩვენი გუნდის ხელმძღვანელთა ენერგიული პროტესტის მიუხედავად, მთავარი მსაჯის გადაწყვეტილება ძალაში დარჩა.

მხოლოდ ქვების ღირსია კ. გორძემაშვილი, რომელიც პირდაპირ აეროდრომიდან მოვიდა სტადიონზე. დაღლილდაქანცულმა. მან სსრ კავშირის ნაკრების წევრთან ი. მაზურასთან (ვილნიუსი) ორთაბრძოლაში შუბი 75,49 მეტრზე ტყორცნა და გაიმარჯვა. 400 მეტრზე რბენაში საუკეთესო იყო ტ. ბახტაძე (48,5), რომელსაც 0,1 წამი არ ეყო თავისივე რესპუბლიკური რეკორდის გამეორებისთვის.

პირველი დღის შემდეგ ჩვენები დაწინაურდნენ, ისინი 6 ქულით უსწრებდნენ ვილნიუსის გუნდს. მთავარი ბრძოლები წინ იყო, მაგრამ მეორე დღეს „საქმეში ჩაერია" ისევ წვიმა და შეჯიბრება გადაიდო. ამ გაუთვალისწინებელი დასვენებით „კარგად ისარგებლა" ზოგიერთმა, პირველ ყოვლისა, თბილგაზის ინჟინერმა ო. ართილაყვამ, არმიელმა ლ. ნანიევმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ჩუნიხინმა და დღის რეჟიმის დარღვევაში ერთიმეორეს ეცილებოდნენ.

— საერთოდ, ართილაყვა მეტისმეტად უპასუხოდ იქცევა: არად აგდებს მწვრთნელთა მითითებებს, არეულობა შეაქვს გუნდში, არ ვარჯიშობს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ტარტუშიც და ვილნიუსშიც იგი მეტისმეტად უსუსურად გამოვიდა და ორჯერვე წააგო ახალგაზრდა თანაგუნდელ ა. ბაგაურთან, — გვითხრა საქართველოს სპორტკავშირის მთავარმა მწვრთნელმა მძლეოსნობაში რ. ტრაპაიძემ.

ცხადია, ართილაყვა დამარცხებისთვის კი არ გარიცხეს გუნდიდან, არამედ უდისციპლინობისა და მეტისმეტად დაბალი შედეგებისთვის. ამავე მიზეზით გარიცხნენ გუნდიდან ნანიევი და ჩუნიხინიც. აქვე გვინდა კვლავ დავუბრუნდეთ დიაჩკოვის საკითხს: მან არც ვილნიუსში შეიწუხა დიდად თავი, სხვათა შორის კრა ბირთვი და მეორე დღეს მამასთან ერთად გაემგზავრა ოდესას ზნამენსკების პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. კარგი, მაგრამ, თუ ასპარეზობისთვის საერთოდ მოუმზადებელი იყო, ოდესაში რაღა უნდოდა და თუ მზად იყო, მაშინ რატომ არად ჩააგდო (უკვე მერამდენედ) კოლექტივის ინტერესები?!

ი. დიაჩკოვი, უდავოდ, ნიჭიერი ახალგაზრდა სპორტსმენია, მაგრამ ვფიქრობთ, ახლა იგი არ დგას სწორ გზაზე. გამოჩენილი სპორტსმენების, სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დუმბაძისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ბ. დიაჩკოვის ვაჟი სანიმუშო უნდა იყოს ყველასთვის.

... ოდნავ გამოიდარა. შეჯიბრება განახლდა ატალახებულ ბილიკებსა და სველ სექტორებზე. თბილისელ ათლეტებს ბრძოლა წყუროდათ და უკეთაც იასპარეზეს. მატჩის საბოლოო შედეგები ასეთია: თბილისი — ვილნიუსი — 175:148, ვილნიუსი—ბაქო — 175:145. პროგრამის 30 სახეობიდან თბილისელებმა 17 მოიგეს, მასპინძლებმა — 8, ხოლო ბაქოელებმა — 5.

ტურნირმა დაგვანახა, რომ ჩვენი მძლეოსნები კარგად ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის. საგრძნობლად ამაღლდა მაჩვენებლები. ამას წლეულს დამყარებული 7 რესპუბლიკური რეკორდიც ადასტურებს, მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ ქალები შედარებით მოიკოჭლებენ.

წერილის დასასრულს უნდა დავსძინო, რომ გუნდის საბოლოოდ ჩამოყალიბებისთვის ჯერ კიდევ ბევრი „შავი" სამუშაოა ჩასატარებელი. მათგან თავიდა-თავი სპორტსმენთა დისციპლინის განმტკიცებაა, ვინაიდან უამისოდ ძნელია რაიმე წარმატების იმედი ვიქონიოთ.

მატჩი რიგაში არ შედგა.

**ო. გელაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტარტუ — ვილნიუსი.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — გ. გუდაშვილი შეჯიბრებისას. ვილნიუსში გამოსვლამდე მან ტალინში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ბადროს ტყორცნაში — 56,66, ლიტვის დედაქალაქში კი პირველსავე ცდაზე მხარი დაიზიანა და მაინც 3 ქულა მისცა გუნდს; ქვევით — 1.500 მეტრზე მორბენლები ვილნიუსის სტადიონზე.

ფოტო ავტორისა.

## ჯ უ შ ი ნ...

## „ლელოს" სტუმრები

ჩვენს რედაქციას ეწვივნენ გაზეთ „ჩეხოსლოვენსკი სპორტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე კაროლ ვეისი და ჩეხოსლოვაკიის სპორტკავშირის აგიტაცია-პროპაგანდისა და აღზრდის განყოფილების გამგის მოადგილე მიროსლავ რუზაკი.

ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები თბილისში ოდესიდან ჩამოვიდნენ, სადაც ესწრებოდნენ სახელგანთქმული საბჭოთა მძლეოსნების, ძმები ზნამენსკების მემორიალს. გუშინ კ. ვეისმა და მ. რუზაკმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის სპორტული ბაზები („დინამოსა" და „ლოკომოტივის" სტადიონები, დახურული საცურაო აუზი ვაკეში), იყვნენ ფიზკულტურის ინსტიტუტში, თბილისის ზღვაზე და სხვ.

ჩვენმა სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს საქართველოს სპორტული ცხოვრებისადმი, აგრეთვე, ილაპარაკეს ფიზკულტურის მდგომარეობაზე თავიანთ ქვეყანაში.

## 11 ტურის შემდეგ

**ბათუმი,** 4 ივლისი (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). ვაჟთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გუშინ შედგა X ტური, რომელშიც მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ფელდის (უნგრეთი), ხოლო პარტიები იანსა (ჩეხოსლოვაკია) — ბაგიროვი (აზერბაიჯანი) და გიორგაძე — კოლაროვი (ბულგარეთი) ყაიმით აღინიშნა. 5 შეხვედრა გადაიდო.

დღეს გაიმართა XI ტური. „დიდოსტატური ყაიმით" აღინიშნა დოდა (პოლონეთი) — კურაიცასა, პოპოვ (ბულგარეთი) — გიორგაძისა და კოლაროვ — ჯინჯიხაშვილის პარტიები. მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა ბუსლაევ — იანსას შეხვედრაში, რომელიც, აგრეთვე, ყაიმით დამთავრდა.

დანარჩენი შეხვედრები გადაიდო.

ველიმიროვიჩმა დათმო IX ტურში გადადებული პარტია იანსასთან.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: იანსა — 7,5 ქულა, გურგენიძე — 7 ქულა და 2 გადადებული პარტია, ბაგიროვი და კურაიცა — 7-7 ქულა და თითო გადადებული პარტია, ჯინჯიხაშვილი — 7.

დაჯარიელდა თბილისის „შრომითი რეზერვების" სტადიონი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა XIX რესპუბლიკური სპარტაკიადის ეპიცენტრს წარმოადგენდა. ასპარეზობა დამთავრდა, სპარტაკიადის შტაბში კი დარჩა შედეგების ამსახველი, მხატვრულად გაფორმებული სტენდი. ამ სტენდზე აღნიშნულია, მაგალითად, რომ კლასიკურ ჭიდაობაში ყველას აჯობეს თბილისის მე-11 სასწავლებლის ათლეტებმა, თავისუფალ ჭიდაობაში კი — ქუთაისის მე-4 სასწავლებლის სპორტსმენებმა, რომ ნიჩბოსან და ველოსიპედისტ გოგონებში პირველობა თბილისის 23-ე, ხოლო ჭაბუკებში — თბილისის 31-ე სასწავლებლის წარმომადგენლებს ხვდათ. „ლელო" უკვე იუწყებოდა, როგორ წარიმართა ასპარეზობა რიგ სახეობებში, ახლა სხვა შეჯიბრებების შესახებ მოგითხრობთ.

# ეპიცენტრი

### აკრობატიკა

სპორტის ოსტატებმა ა. თედეევმა და პ. მიქიაშვილმა აკრობატიკაში მეცადინეობა კარგა ხნის წინათ, „შრომითი რეზერვების" დარბაზში დაიწყეს. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუცავთ მათ თბილისის 31-ე სასწავლებლის ღირსება. და აი, ახლაც ოსტატთა პროგრამით პირველობისთვის იბრძოდნენ. კვლავ კარგად გამოვიდნენ და სსრ კავშირის ჩემპიონატის პრიზიორებმა I-II ადგილები გაინაწილეს (I — თედეევი, II — მიქიაშვილი).

ჭაბუკთა პირად პირველობაში I-III ადგილები შესაბამისად დაიკავეს დ. ტატიშვილმა, ვ. ავაქიშვილმა (ორივენი — თბილისის მე-18 სასწავლებელი) და ნ. ძუკაევმა (თბილისის 31-ე სასწავლებელი).

შეჯიბრებაში მხოლოდ 2 გოგონა (!) მონაწილეობდა: I ადგილი დაიკავა ლ. გაბელაიამ, II — ვ. ანტონოვამ (ორივენი — თბილისის 23-ე სასწავლებელი).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის მე-18 სასწავლებლის ჭაბუკებმა (102,6 ქულა) და 23-ე სასწავლებლის გოგონებმა (83,6).

### ფრენბურთი

ჭაბუკთა გუნდური ტურნირი ორ ქვეჯგუფად ჩატარდა. ორივეში იმარჯვეს თბილისელებმა: 31-ე და მე-6 სასწავლებლების გუნდებმა. სწორედ ეს კოლექტივები შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში. ბრძოლა დაძაბული გამოდგა, მაგრამ მე-6 სასწავლებლის წარმომადგენლები უფრო ზუსტნი, ძლიერნი აღმოჩნდნენ და გაიმარჯვეს კიდეც „მშრალი" ანგარიშით — 2:0.

გოგონებში პირველობისთვის 4 გუნდი იბრძოდა, მათგან უძლიერესმა, რუსთავის მე-16 სასწავლებლის კოლექტივმა სამივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით (2:0) მოიგო და სპარტაკიადის ჩემპიონობაც გაინაღდა.

### ჭადრაკი

ტურნირის მონაწილეთაგან ყველაზე დინჯი და დაფიქრებული ქუთაისელი პირველთანრიგოსანი ვ. ძორელაშვილი გამოდგა (21-ე სა-

ფეხბურთი ფეხბურთი

# ქალაქები, გოლები, ავარიები

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი, XV ტური მოიცავდა 2-4 ივლისის მატჩებს, მაგრამ XV ტური ეს იყო მხოლოდ ქუთაისის, ალმა-ათისა და ლენინგრადის ფეხბურთელთათვის, დანარჩენმა გუნდებმა კი განვლეს მხოლოდ 14 ტური, ხოლო კიევის დინამოელებს, მიუხედავად ცხრილში მათი უმაღლესი მდგომარეობისა, ნათამაშები აქვთ სულ 13 მატჩი.

ტურის ცენტრში გახლდათ ლიდერთა მატჩი კიევში: „დინამო" — „პახტაკორი". ჯერ ერთი, — თამაშობდნენ ცხრილის პირველ სამეულში მყოფი გუნდები (ეს უკვე მოვლენაა!), მეორეც, — მოწინააღმდეგეთ წელს არ წაუგიათ არც ერთი თამაში და დიდ ინტერესს იწვევდა საკითხი: გაუძლებდა თუ არა მ. იაკუშინის გუნდი მასპინძელთა იერიშებს. „პახტაკორმა" გაუძლო. დინამოელებს საერთო უპირატესობა ხელთ ეპყრათ, მაგრამ სტუმრების დაცვა გაუვალი აღმოჩნდა — 0:0. ტაშკენტელები ახლა ფრედ დამთავრებული მატჩების „ჩემპიონები" არიან (9).

გათამაშების მეორე ლიდერი — მოსკოვის „სპარტაკი" ლენინგრადში ხვდებოდა ადგილობრივ „ზენიტს". მართალია, აქ ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს (გოლოდუხოვი), მაგრამ „ზენიტი" შემდგომში დაწინაურდა (ნაუმოვი, ზავიდონოვი). მოსკოველები წაგებას გადაარჩინა ოსიანინის მიერ გატანილმა გოლმა — 2:2. ამ მომენტში მოხდა საოცარი ამბავი: ბურთს კარში შეჰყვა ლენინგრადელი სადირინი, ჩამოეკიდა ბადეს და ერთ-ერთი ძელი ძირში მოტყდა. მისი ნარჩენის ამოღება სთხოვეს საბჭოთა კავშირის ყოფილ ჩემპიონს ჭიდაობაში, მძიმეწონოსან პრუტკოვსკის. გოლიათმა ამოიღო იგი და ადმინისტრაციამ დააყენა ახალი კარი. ამ ოპერაციას დაჭირდა 30 წუთი.

უცნაურობებით აღინიშნა არმიელთა ორი კოლექტივის — მოსკოვისა და ოდესის არმიელთა მატჩი დედაქალაქში. იგი მოიგეს მოსკოველებმა — 4:2, მაგრამ მეტი ბურთი ამ მატჩში გაიტანეს ოდესელებმა, თუმცა ნაწილი... საკუთარ კარში. ანგარიში გახსნა ფედოტოვმა, შემდეგ გრებენიკმა ბურთი თავის კარში გაგზავნა და კაზაკოვმა სხვაობა 3:0-მდე აიყვანა. მეორე ტაიმში დუბინსკიმ გაქვითა 1 გოლი, შემდეგ სპირიდონოვმა — მეორე და როცა ოდესელები ახლოს აღმოჩნდნენ 1 ქულის აღების მიჯნასთან, მათმა ერთ-ერთმა მცველმა ზახაროვმა ისევ „უღალატა" თავის გუნდს — 2:4.

„კაირატის" მცველმა და კაპიტანმა სტეპანოვმა 1 ბურთი გაიტანა „ჩერნომორეცის" კარში და გამარჯვება მოუტანა ალმაათელებს — 1:0. „კრილია სოვეტოვისა" და „შახტიორის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ბურთები გაიტანეს ვერბოვსკიმ („კრილია სოვეტოვი") და ადამოვმა.

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი სარეკორდო ანგარიში იქნა ფიქსირებული 2 ივლისს მოსკოვის „დინამოსა" და ერევნის „არარატის" მატჩში. პირველი ბურთი გაიტანა ავრუცკიმ, რის შემდეგ ოვივიანმა და კაზარიანმა დააწინაურეს „არარატი", მაგრამ მატჩის დასასრულს მოსკოველთა იერიშების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა: ვშივცევმა (2), ევრიუჟიხინმა, მასლოვმა, ავრუცკიმ და ბობკოვმა მოათავსეს „საქმე" — 7:2.

გუშინ მოსკოვში გაიმართა მორიგი მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა" და „ტორპედოს" შორის. გაიმარჯვა „ტორპედომ" — 1:0. გოლის ავტორია დენისოვი.

სნაიპერებში სადღეისოდ ლიდერობენ ცსკა-ს ფორვარდი ბ. კაზაკოვი და მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელი ი. ავრუცკი — 8-8 გოლი.

# ტრადიცია ძალაში რჩება!

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 3 ივლისი.

„დინამო" (თბილისი) — „ნეფტიანიკი" (ბაქო) 1:0 (0:0).

„დინამო". ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

„ნეფტიანიკი": კრამარენკო, ბაბაევი (ზეინალოვი), ბრუხტი, ბოგდანოვი, ტროფიმოვი, სემიგლაზოვი, ტუაევი, გრიაზევი, ს. მელქუმოვი, გაჯიევი, ი. მელქუმოვი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

... მიმდინარეობდა მატჩის მე-2 წუთი. „ნეფტიანიკის" საჯარიმო მოედანზე კარის მიმართულებით ზურგით მდგარმა ბარქაიამ მიიღო ბურთი, მოწინააღმდეგე მცველებთან ბრძოლაში დაამუშავა იგი და თავისუფალ პოზიციაში მყოფ იამანიძეს გადასცა. გოლი შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ ბაქოელთა კარი აუღებელი დარჩა.

იქნებ ამ მომენტის გამოყოფა ასე საგანგებოდ არც ღირდა, მაგრამ იგი იმდენად დამახასიათებელი იყო ამ მატჩისთვის (და არა მარტო ამ მატჩისთვის), რომ გვინდა სანიმუშოდ მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ანალოგიური მომენტი.

მე-8 წუთი. მესხმა დრიბლინგით გაიტანა ბურთი თავის ფლანგზე. მის გადაცემას კრამარენკომ ვერ მოასწრო, ჩვენს თავდამსხმელებს კი შეეძლოთ გამოეყენებინათ იგი. არც ეს მოხდა.

მე-12 წუთი. გათამაშდა საუკეთესო კომბინაცია, რომელშიც მონაწილეობდა თბილისელთა ყველა თავდამსხმელი: ბარქაია — მესხი — იამანიძე — დათუნაშვილი. კრამარენკომ შეძლო ამ ბურთის აღება, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმა რომ უფრო ზუსტად შეესრულებინა დათუნაშვილს, გოლი ნაღდი იყო.

მე-15 წუთი. იამანიძე — დათუნაშვილი. თავით დარტყმული ბურთი აცდა კარს.

23-ე წუთი. დათუნაშვილმა მოულოდნელად დაარტყა კარის შორეული კუთხისკენ. ბურთს იქ არავინ დახვდა.

32-ე წუთი. ილიადიმ ზუსტად გადასცა ბურთი ცენტრფორვარდების ზონაში. კომბინაცია არ დამთავრდა.

46-ე წუთი. იამანიძემ და მესხმა ტემპში გაითამაშეს კომბინაცია, რის შემდეგაც მესხი პირისპირ გავიდა მეკარესთან. ორი მოწინააღმდეგის შეტაკება მოხდა კარიდან დაახლოებით 12 მეტრის დაშორებით. ბურთი კრამარენკოს დარჩა.

ღირს ამ „სიის" გაგრძელება? მაყურებლებს, ეჭვს გარეშეა, ემახსოვრებათ „ნეფტიანიკის" საჯარიმო მოედანზე შექმნილი სახიფათო მომენტები და ყველა მათი შედეგია მხოლოდ ერთადერთი გოლი.

ყველაფერს ამას ვლაპარაკობთ იმიტომ, რომ მატჩი ბაქოელებთან ძალზე ძნელი გამოდგა. დინამოელებს მთელი თავიანთი ძალების დაძაბვა დაჭირდათ, რათა ეს მინიმალური გამარჯვება მაინც მოეპოვებინათ და ზემოაღნიშნულ შესაძლებლობათა დაკარგვა მეტისმეტ „ფუფუნებას" წარმოადგენდა ჩვენი გუნდისთვის. მით უმეტეს, რომ „ნეფტიანიკი" მაღალი ოსტატობით და აზარტით აწარმოებდა კონტრიერიშებს, რომელთა რაოდენობა საკმარისზე მეტი იყო. თბილისელთა დაცვა და მეკარე დიდი დატვირთვით, გაჭირვებით იგერიებდა ს. და ი. მელქუმოვების და ტუაევის სახიფათო გასვლებს. ამას დაემატა ისიც, რომ პეტრიაშვილმა რამდენიმეჯერ ზედმეტად გააჩერა ბურთი, დააგვიანა მისი გათამაშება და კარის გადარჩენა კიდევ უფრო გაძნელდა.

ბაქოელთა გუნდმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. იგი იბრძოდა ორგანიზებულად, მაღალ ტექნიკურ დონეზე, როგორც ტოლი ტოლთან. თბილისის „დინამოსა" და „ნეფტიანიკს" შორის დღემდე ჩატარებულ მატჩებში ბაქოელებს არც ერთხელ არ მოუპოვებიათ გამარჯვება და ტრადიცია ახლაც უცვლელი დარჩა, მაგრამ რომ ჩვენი გუნდი არ ყოფილიყო იმ საბრძოლო ფორმაში, რომელსაც მან მიაღწია ამ პერიოდისთვის, შეიძლება მოგებული მატჩების ისტორიას „ნეფტიანიკთან" მცირე კორექტივი ჰქონოდა.

იოლ გამარჯვებას არც არავინ მოელოდა, ვინაიდან ბაქოელები ახლა თამაშობენ ისე, როგორც არასოდეს. თბილისელებმა ენერგიულად, მონდომებით იბრძოლეს, შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება და აიღეს ეს საჭირო 2 ქულა. გოლი 65-ე წუთზე გაიტანა დათუნაშვილმა. მან კარგად მოაწოდა კუთხური, ბურთმა ჩვეულებისამებრ მოუხვია, შეეხო მცველს, მეკარეს და... გავიდა კარში — 1:0.

რ. ქორიძე.



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 13 | 9 | 4 | 0 | 29—4 | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 14 | 8 | 4 | 2 | 21—10 | 20 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 14 | 5 | 9 | 0 | 16—10 | 19 |
| ასკ (როსტოვი) | 14 | 9 | 1 | 4 | 27—24 | 19 |
| ცსკა | 14 | 6 | 5 | 3 | 28—20 | 17 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 6 | 5 | 3 | 17—9 | 17 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 22—15 | 17 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 15 | 7 | 2 | 6 | 16—18 | 16 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 14 | 5 | 5 | 4 | 20—11 | 15 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 14 | 6 | 2 | 6 | 22—18 | 14 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 15 | 6 | 2 | 7 | 22—26 | 14 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 15 | 6 | 2 | 7 | 20—25 | 14 |
| „დინამო" (მინსკი) | 14 | 4 | 4 | 6 | 14—20 | 12 |
| „არარატი" (ერევანი) | 14 | 4 | 4 | 6 | 12—22 | 12 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 14 | 2 | 6 | 6 | 12—17 | 10 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 14 | 4 | 2 | 8 | 14—21 | 10 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 14 | 2 | 5 | 7 | 11—24 | 9 |
| ასკ (ოდესა) | 14 | 1 | 4 | 9 | 7—21 | 6 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 14 | 2 | 1 | 11 | 11—26 | 5 |

„ლელო" I ჯგუფი

# როსტოვში...

3 ივლისს როსტოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და ქუთაისის „ტორპედო".

დაძაბული ბრძოლა დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1. ბურთები გაიტანეს ესკოვმა და მიკუნოვმა. ქუთაისელთაგან გოლის ავტორია ვეკუა.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩიც არმიელებმა მოიგეს — 3:0.

# ყოჩაღ, თავდამსხმელებო!

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი 3 ივლისი

„დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 3:2 (2:0).

„დ ი ნ ა მ ო". კვახაძე, გიორგიძე, ჯოხაძე, ონიანი, კიზირია, ილურიძე, ვერულიძე, შაფათავა, გიორგაძე ქიქავა, როგავა (გაგუა).

„ლ ო კ ო მ ო ტ ი ვ ი": გრძელიშვილი, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ძაგანია, იაიანი, მაზიაშვილი, კაიშაური, ახალკაცი (კომკელოვი), გავაშელი.

მსაჯი ვ. სამოლაზოვი (როსტოვი).

აღნიშნული მატჩის მოწინააღმდეგეებს საკმაოდ განსხვავებული ადგილები უჭირავთ გათამაშების ცხრილში, მაგრამ ეს არ იყო ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა. ბათუმელებმა ძლიერი ბრძოლა შესთავაზეს მეტოქეს და აიღეს ის 2 ქულა, რომელიც მათაც ისევე სჭირდებოდათ, როგორც თბილისელებს.

მასპინძლებმა საერთო უპირატესობას ძირითადად პირველ ტაიმში მიაღწიეს. დასაწყისში სახიფათო მომენტები ორივე კართან იქმნებოდა, ხოლო შემდგომში შეტევაზე საკმაოდ ხანგრძლივი დროით გადავიდა „დინამო". გუნდში განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ თავდამსხმელები.

ანგარიში გაიხსნა მე-20 წუთზე. ქიქავამ ოსტატურად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა კარში. ბერიკაშვილმა მოასწრო ნახტომის გაკეთება, მაგრამ ვერ იხსნა კარი გოლისაგან.

ბათუმელთა შეტევები კიდევ უფრო მომძლავრდა. ტაიმის დასასრულს გიორგაძემ ზუსტად გამოიყენა ქიქავას გადაცემა და მეორე ბურთი გაგზავნა „ლოკომოტივის" კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ ბრძოლის სურათი მთლიანად შეიცვალა და ინიციატივა ლოკომოტიველებმა აიღეს ხელთ. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ კაიშაურმა გამოიყენა მეტოქეთა დაცვაში დაშვებული შეცდომა და გაიტანა საპასუხო ბურთი — 1:2.

„ლოკომოტივი" განაგრძობდა იერიშებს, მაგრამ მე-80 წუთზე გათამაშებული კომბინაცია შაფათავა — გიორგაძე ამ უკანასკნელმა მესამე გოლით დაამთავრა. ამის შემდეგ თბილისელებმა გაიტანეს კიდევ 1 ბურთი და დამარცხებულებმა დატოვეს მინდორი — 2:3.

ვ. მოსეშვილი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ლელო" II ჯგუფი

გუშინწინ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები „ა" კლასის II ჯგუფის I ქვეჯგუფის გუნდებს შორის. აი, მათი შედეგები: „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0, „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დაუგავა" (რიგა) 0:1, „კუბანი" (კრასნოდარი) — „თერგი" (გროზნო) 0:0, „ალგარისი" (ვილნიუსი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 2:1, „სპარტაკი" (გომელი) — „როსტსელმაში" (როსტოვი) 1:1, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „დინამო" (ტალინი) 0:0.

ფეხბურთი ფეხბურთი

# „დელისის" გამარჯვება

გუშინწინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე, „ა" კლასის ოსტატთა თამაშის წინ, გაიმართა „ტყავის ბურთის" რესპუბლიკური ტურნირის ფინალური მატჩი, რომელსაც უნდა გამოევლინა I ადგილის მფლობელი. ერთმანეთს შეხვდნენ „დელისი" (თბილისი) — „გაზაფხული" (ბათუმი).

მაყურებლები მოწმენი იყვნენ ნორჩ ფეხბურთელთა მეტად საინტერესო ბრძოლისა. დელისელებმა სძლიეს მეტოქეს და მოიგეს თამაში — 3:0. გუნდს უფლება მიეცა იბრძოლოს საკავშირო ასპარეზზე თანატოლთა შორის.

II ადგილი წილად ხვდა „გაზაფხულს", III — „ოცნებას" (აფხაზეთი, გულრიფშის რაიონი).

მატჩის დამთავრების შემდეგ მოხდა გამარჯვებულ ნორჩ ფეხბურთელთა დაჯილდოება. მათ გადაეცათ გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის მიერ დაწესებული ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, თასები, შესაბამისი ხარისხის სიგელები, დიპლომები და ბურთები გამოჩენილ ფეხბურთელთა ავტოგრაფებით. ნორჩებს ჯილდოები გადასცეს სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბ. პაიჭაძემ, მ. ბერძენიშვილმა, ზ. კალოევმა და სპორტის ოსტატმა მ. პირაევმა.

ამას გარდა, ბავშვებს გადაეცათ საგანგებოდ დაწესებული პრიზებიც. აი, მათი მფლობელები:

● **საუკეთესო მეკარე:** ს. ერქვანიძე (სამტრედიის „წინსვლა", გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზი);

● **საუკეთესო მცველი:** ვ. ხელაძე (ქუთაისის „ვარსკვლავი", „ლელოს" პრიზი);

● **საუკეთესო ნახევარმცველი:** თ. კალანდაძე (ბათუმის „გაზაფხული", საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის პრიზი);

● **საუკეთესო თავდამსხმელი:** ვ. ხუცაევი (თბილისის „დელისი", „ახალგაზრდა კომუნისტის" პრიზი);

● **ყველაზე კორექტული გუნდი:** გულრიფშის „ოცნება" (საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზი).

„ტყავის ბურთის" პრიზზე

# „ჩაქრა"

სწავლებელი). იქნებ ამანაც უშველა მას ერთ-ერთ, თითქოს უიმედო პარტიაში. ნაადრევი გამოდგა მეტოქეთა სიხარული: ძორელაშვილმა ზუსტი სვლა გამონახა და გაიმარჯვა კიდეც. მისი თანაგუნდელი ზ. ბასილაძე უძლიერესი იყო მეორე დაფაზე. მესამე დაფაზე ყველას აჯობა თბილისელმა ვ. ზუბკომ.

გოგონებში გაიმარჯვეს: პირველ დაფაზე — მ. რემიზოვამ, მეორე დაფაზე — გ. ხაჩიაშვილმა, მესამეზე — მ. მიროზონოვამ (ყველანი — თბილისის 23-ე სასწავლებელი).

გუნდური პირველობის ფინალი ასე დამთავრდა: თბილისის 23-ე სასწავლებლის გოგონათა გუნდმა დაამარცხა თბილისის 27-ე სასწავლებლის ნაკრები — 3:0, ხოლო ქუთაისის 21-ე სასწავლებლის ჭაბუკებმა მოუგეს თბილისის 32-ე სასწავლებლის წარმომადგენლებს — 2:1. აღსანიშნავია, რომ ჭაბუკებში ორივე ფინალისტმა 11-11 ქულა დააგროვა.

## კალათბურთი

16:5! — ასე დამთავრდა თბილისის 23-ე და 27-ე სასწავლებლების გოგონათა გუნდების ფინალური შეხვედრა. თამაში მეტად უფერულად და უინტერესოდ წარიმართა: ორივე გუნდი სუსტი იყო. შეხვედრა მოიგეს 23-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა.

ვაჟთა ტურნირმა შედარებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. სპარტაკიადის სენსაცია იყო ასპარეზობის ფინალისტების — წულუკიძის მე-8 სასწავლებლის სპორტსმენთა გამარჯვება ქვეჯგუფში: მათ დაამარცხეს თბილისის მე-11 სასწავლებლის ძლიერი კოლექტივი — 52:44. მეორე ქვეჯგუფში ყველა ჩამოიტოვეს თბილისის მე-18 სასწავლებლის კალათბურთელებმა.

და აი, ფინალიც. წულუკიძელებმა მეტოქეებს სწრაფი ტემპი შესთავაზეს და მალე დაწინაურდნენ კიდეც. მაგრამ მასპინძლები არ დაიბნენ, ანგარიში გაათანაბრეს და მატჩის დამთავრებამდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. ჩემპიონობა თბილისის მე-18 სასწავლებლის კალათბურთელთა გუნდმა გაინაღდა — 65:50.

## ფეხბურთი

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის 31-ე და ფოთის მე-12 სასწავლებლების კოლექტივები. ნორჩ სპორტსმენებს ნაწვიმარ მინდორზე მოუხდათ თამაში, მაგრამ შეხვედრა მეტად საინტერესოდ წარიმართა. თანდათან გამოიკვეთა თბილისელთა უპირატესობა, რაც მათ მიერ გატანილი 3 გოლით აღინიშნა. ფოთელებმა მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა შეძლეს.

III ადგილი ხვდა ქუთაისის მე-4 სასწავლებლის ფეხბურთელთა კოლექტივს, რომელმაც ამ ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხა თბილისის მე-11 სასწავლებლის გუნდი.

* * *

მაშ ასე, „შრომითი რეზერვების" სასწავლებლების სპარტაკიადა დამთავრდა დაძაბულ ბრძოლაში საერთო გუნდური პირველობა მოიპოვა თბილისის 31-ე სასწავლებლის სპორტსმენთა ნაკრებმა კოლექტივმა. II ადგილზე გავიდა თბილისის მე-11, ხოლო III — თბილისის მე-8 სასწავლებელი.

„ლელოს" ბრიგადა.



# გვატყობინებს ვილი

## სერ სტენლის მოულოდნელი პროგნოზი

ფიფა-ს პრეზიდენტმა საკმაოდ მოულოდნელი პროგნოზები გააკეთა სპორტული ჟურნალისტების პატივსაცემად გამართულ სადილზე. კერძოდ, სერ სტენლი როუზმა, რომელიც დამსახურებულად ითვლება საუკეთესო სპეციალისტად ფეხბურთთან დაკავშირებულ ყოველ საკითხში, განაცხადა:

„ყველა ერთხმად წინასწარმეტყველებს, რომ მომავალი ჩემპიონატის ფავორიტები, პირველ ყოვლისა, ბრაზილიისა და ინგლისის გუნდები იქნებიან. მე კი მგონია, რომ გამარჯვების შანსი აქვს ზოგ ამ ნაკრებსაც, რომელიც სრულიად დაუმსახურებლად მოხვდა აუტსაიდერთა რიცხვში. ჩემი აზრით, ეს ყველაზე მეტად იტალიისა და დასავლეთ გერმანიის გუნდებზე ითქმის. იტალიელები განსაკუთრებული თავგამეტებით იბრძოლებენ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებისთვის, რადგან მოგების შემთხვევაში ისინი სამუდამოდ წაიღებენ თავიანთ ქვეყანაში ოქროს ქალღმერთს. რაც შეეხება გერმანელებს, ისინი უთუოდ ეცდებიან გაიმეორონ ჟენევის წარმატება".

როცა ჰკითხეს, როგორია თქვენი აზრი მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მონაწილე კორეის გუნდზეო, როუზმა თქვა:

„ჩრდილოეთ კორეა, ალბათ, ბევრს გაუმწარებს სიცოცხლეს. მისი ეშმაკი და მოხერხებული ფეხბურთელების „გაცურება" ყოველ გუნდს გაუჭირდება. კორეელებისთვის მთავარია დაძლიონ სულიერი დაძაბულობა და ნერვიულობა, რაც, ბუნებრივია, შეიძლება მოეძალოთ ასეთ ძლიერ მეტოქეებთან შეხვედრების წინ. თუ ამას გაუმკლავდებიან, კორეელები ბევრს მიაღწევენ".

ჟურნალისტებთან საუბრის დასასრულს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატი „ჩატარდება უკეთ, ვინემ ოდესმე ჩატარებულა".

„ფიფა, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — ყოველნაირად დაუჭერს მხარს მსაჯებს. ის მოთამაშე, ვისაც მინდვრიდან უხეშობისთვის გააძევებენ, უმკაცრესად დაისჯება და შეიძლება ლონდონის ტურნირის განმავლობაში დისკვალიფიკაციაც მიიღოს".

## ჩემპიონატი დაზღვეულია

ჟიულ რიმეს თასის მოპარვის სკანდალურმა ამბავმა, რაც, საბედნიეროდ, კეთილად დამთავრდა, გვარიანად დააფრთხო ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები. საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველგვარი შესაძლებელი უსიამოვნებისგან წინასწარ თავის არიდების მიზნით, მათ ახლახან... დააზღვიეს ლონდონის ტურნირი.

დაზღვევის ხელშეკრულება დაიდო ლოიდის საქვეყნოდ ცნობილ დამზღვევ საზოგადოებასთან, რომელიც უკვე საუკუნეზე მეტია არსებობს და ლონდონში აქვს მთავარი კანტორა. მსოფლიო ჩემპიონატი დაზღვეულია დიდი თანხით, რაც 62 მილიონ დოლარს აღემატება. კონტრაქტის თანახმად, პირველ ყოვლისა, დაზღვეულია ყველა 352 მოთამაშე იმ 16 ეროვნული ნაკრებისა, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობენ.

ამას გარდა, ლოიდის კომპანიამ ივალდებულა ჩემპიონატის ორგანიზატორებს გადაუხადოს დაზღვევის მთელი თანხა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო პირველობა გადაიდება „უმაღლესი ძალის ჩარევის" ან როგორც ახსნეს: „პოლიტიკური არეულობის, სტიქიური უბედურების, ინგლისის დედოფლის ოჯახში მგლოვიარობის ან ცუდი ამინდის გამო". ინგლისური გაზეთი „პიპლი" წერს, რომ ლოიდთან მოლაპარაკების შემდეგ ჩემპიონატის ხელმძღვანელებს შეუძლიათ „გულდამშვიდებით იძინონ".

## ბიძა და ძმისშვილი

ურუგვაის დელეგაციაში ორი კაცია ვიერას გვარისა. ერთს ონდინო ჰქვია. მეორეს — მილტონი. ონდინო ვიერას კარგად იცნობენ სპეციალისტები, — იგი ურუგვაის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია, დიდხანს მუშაობდა ბრაზილიაში, თამაშობდა „ვასკო და გამაში", წვრთნიდა „ფლამენგოს", „ბანგუს", „პალმეირასს", „ატლეტიკო-მინაიროს". ყველა ეს კლუბი სამართლიანად ითვლება მოწინავედ. 1955 წელს ონდინო ურუგვაიში დაბრუნდა და 6 წლის განმავლობაში წვრთნიდა „ნასიონალს". 1961 წელს მან კვლავ დატოვა სამშობლო და ამჯერად კონტრაქტი დადო პარაგვაის კლუბ „გარანასთან". მალე ეს კლუბიც დიდად დაწინაურდა. ბოლოს ცნობილი მწვრთნელი ისევ დაუბრუნდა თავის ქვეყანას, აიყვანა საკმაოდ სუსტი გუნდი „სერო" და მიაღწია იმას, რომ შარშან ამ კლუბმა ურუგვაის ჩემპიონატში III ადგილი მოიპოვა.

ასე რომ, ვიერას დანიშვნა ურუგვაის ნაკრების უფროს მწვრთნელად სულაც არ იყო გასაკვირი. გაოცება გამოიწვია იმან, რომ სწორედ გამგზავრების წინ ონდინომ მოულოდნელად მოითხოვა გათავისუფლება. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრებში შეიყვანა მენდესი, რომელიც ონდინომ მოხსნა. მაგრამ ფედერაციის მოწინავე მოღვაწეებმა მოახერხეს და დაიყოლიეს ონდინო, — არ ეთქვა უარი ნაკრების მწვრთნელად მუშაობაზე. სხვათა შორის, მთავარ არგუმენტად მათ ის მოჰყავდათ, რომ გუნდში შედის მეორე ვიერაც — მილტონი.

საქმე ის გახლავთ, რომ მილტონი ონდინოს ძმისშვილია. თამაშით იგი დაახლოებით ისევე თამაშობს, როგორც ზოგიერთი სხვა ნაკრების წევრობის კანდიდატი. მაგრამ ონდინომ დაიბევა ნაკრებში ადგილი თავისი ძმისშვილისთვის და განაცხადა, რომ „სწამს ამ ბიჭისა".

ფედერაციის წარმომადგენლებმა ონდინოს რამდენიმე გადაკრული სიტყვა უთხრეს მისი ნათესაური გრძნობების თაობაზე და კომპრომისსაც მიაღწიეს. ასე აღმოჩნდა ურუგვაის ნაკრებში ორი ვიერა.

## 30 ათასი მილი

ჯერ კიდევ ლონდონის ტურნირის დაწყებამდე გაირკვა, რომ ინგლისის დედაქალაქში უკვე მოიხსნა წინა მსოფლიო ჩემპიონატის ბევრი რეკორდი. მაგალითად, ჩემპიონატის დღეებში ინგლისში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვა 2 ათასზე მეტი ჟურნალისტი. მაგრამ თუ ჟურნალისტურ რეკორდებზე ჩამოვარდა სიტყვა, უნდა ითქვას, რომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ინგლისური გაზეთის „სანდი მირორის" რეპორტიორმა სემ ლეიჩმა. მან შემოიარა თითქმის მთელი მსოფლიო, დაფარა 30 ათასი მილი იმ მიზნით, რომ საკუთარი თვალით ენახა ლონდონის ტურნირის ფინალის მონაწილე 15 ქვეყნის ეროვნული ნაკრების თამაში და მკითხველისთვის თავისი შეხედულება გაეზიარებინა. ლეიჩმა ყველა გუნდის შესახებ დაწერა. მაგრამ როგორი იყო მისი საერთო დასკვნა?

„როცა ჩემი მოგზაურობის დროს თანდათანობით ვეცნობოდი ინგლისის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების თამაშს, — წერს ლეიჩი, — დავრწმუნდი, რომ ლონდონის ტურნირი, პირველ ყოვლისა, ე. წ. „თავდაცვითი ფეხბურთის" ტრიუმფი იქნება და „უემბლის" სტადიონზე თავშეყრილი მაყურებელი იშვიათად ნახავს გოლს.

თავდაცვითი ტაქტიკისკენ საერთო ტენდენცია, რაც ახლა ყველა ქვეყანაში იგრძნობა, მსოფლიო ჩემპიონატის დროს ხელს აძლევს ინგლისის გუნდს. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ა. რამსეი, შეიძლება ითქვას, სხვებზე უწინ იყო ამ ტაქტიკის ერთგული მიმდევარი და, ალბათ, გუნდი მრავალ სეზონს მეტოქის კარიბჭესთან იმყოფება, მაგრამ სახიფათო რეიდებით შეუძლია თამაშისათვის".

## კოდექსი არგენტინელებისთვის

არგენტინელ ფეხბურთელთა ევროპაში გამგზავრების წინ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხუან კარლოს ლორენცომ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის სხვა მოწინავე მოღვაწეებთან ერთად დაამუშავა ევროპაში საწვრთნელი თამაშებისა და ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში ფეხბურთელთა ქცევის წესები. ეს წესები ათზე მეტ პუნქტს მოიცავს. აი, რამდენიმე:

1. მოთამაშეებს მკაცრად ეკრძალებათ: თამბაქოს წევა და მწვრთნელის უნებართვოდ რაიმე სასმელისა და საჭმელის ყიდვა.

2. თვითეულმა სპორტსმენმა უნდა ჭამოს და სვას ისე, როგორც ეს წინასწარ დადგენილია მთელი გუნდისთვის.

3. ყოველი ფეხბურთელი ვალდებულია გუნდის ხელმძღვანელების მიერ განსაზღვრულ საათებში იძინოს და დაისვენოს.

4. საუზმის, სადილისა და ვახშმის დროს ფეხბურთელი სხვადასხვა მაგიდას უნდა უჯდეს, სხვადასხვა ამხანაგთან ერთად.

5. ბანქოსა და კამათლის თამაში შეიძლება მხოლოდ მწვრთნელის განსაკუთრებული ნებართვით.

როცა ამ წესებზე ლაპარაკობდა, ხუან კარლოსმა განაცხადა:

„ყოველი ფეხბურთელი, რა დიდ განძსაც უნდა წარმოადგენდეს გუნდისთვის, ვალდებულია ახსოვდეს, რომ ამ წესების დაცვა აუცილებელია. ვინც მათ დაარღვევს, პირველივე თვითმფრინავით დავაბრუნებთ სამშობლოში და სხვა მოთამაშით შევცვლით. ჩვენ არაფერს დავერიდებით ნამდვილი დისციპლინისა და ნაკრების მტკიცე სულისკვეთებისთვის ბრძოლაში".

# ემზადებიან...

◆ **ლაიპციგი**, 4 ივლისი. გდრ-ის ფეხბურთელთა ნაკრებმა 45 ათასი მაყურებლის თანდასწრებით დამაჯერებლად მოუგო 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს — ჩილის გუნდს — 5:2 (2:0).

ანგარიში პირველი ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა გახსნეს, რამდენიმე წუთის შემდეგ კი მეორე ბურთი გაიტანეს (ნელდნერი და ფრენცელი).

62-ე წუთზე ჩილიელმა ტობარმა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა — 1:2.

მატჩის საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე მასპინძლები კვლავ დაწინაურდნენ — 4:1 (ფოგელი, ფრესდორფი). ბოლო წუთებზე მეტოქეებმა კიდევ თითო ბურთი გაიტანეს (მარკოსი და ჰაისლერი).

„ეს მატჩი ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იყო, — განაცხადა ჩილის ნაკრების მწვრთნელმა ლ. ალამოსმა. — მე იმედს სრულებითაც არ ვკარგავ. ჩვენმა გუნდმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს დაცვას".

ჩილის ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: გოდოი, ეისაგუირე, ფიგუეროა, ვილანუევა, კრუზი, მარკოსი, ფილოქსი, პრიეტო, ტობარი, რამირესი სამჩესი.

◆ **როტერდამი**, 4 ივლისი. ადგილობრივი კლუბი „სპარტა" სპარინგ-მატჩში შეხვდა უნგრეთის ნაკრებს. სტუმრებმა დამაჯერებლად ჩაატარეს მატჩი და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 4:1 (1:0).

◆ **სტოკჰოლმი** 4 ივლისი. ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ვ. ფეოლამ გამოაცხადა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაიცავენ.

**მეკარეები** — ჟ ი ლ მ ა რ ი, 36 წლისა, „სან-პაულუს" კლუბიდან, 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, ნაკრების შემადგენლობაში 88 მატჩი ჩაატარა; მ ა ნ გ ა, 29 წლისა, „ბოტაფოგო", 10 მატჩი.

**მცველები** — ჯ ა ლ მ ა ს ა ნ ტ ო ს ი, 37 წლისა, „პალმეირასი", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 96 მატჩი; ფ ი დ ე ლ ი ს ი, 22 წლისა, „ბანგუ", 5 მატჩი; ბ ე ლ ი ნ ი, 36 წლისა, „სან-პაულუ", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 61 მატჩი; ბ რ ი ტ ო, 26 წლისა, „ვასკო და გამა", 8 მატჩი; ო რ ლ ა ნ დ ო, 31 წლისა, „სანტოსი", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 45 მატჩი, ა ლ ტ ა ი რ ი, 26 წლისა, „ფლუმინენსე", 10 მატჩი; პ ა უ ლ ო ე ნ რ ი კ ე, 23 წლისა, „ფლამენგო", 4 მატჩი: რ ი ლ დ ო, 24 წლისა, „ბოტაფოგო", 17 მატჩი.

**ნახევარმცველები** — ზ ი ტ ო, 34 წლისა, „სანტოსი", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 35 მატჩი; ლ ი მ ა, 24 წლისა, „სანტოსი", 63 მატჩი; დ ე ნ ი ლ ს ო ნ ი, 23 წლისა, „ფლუმინენსე"; ჟ ე რ ს ო ნ ი, 25 წლისა; „ბოტაფოგო" 9 მატჩი; ჟ ა ი რ ზ ი ნ ი ო, 28 წლისა, „ბოტაფოგო", 17 მატჩი.

**თავდამსხმელები** — გ ა რ ი ნ ჩ ა, 33 წლისა, „კორინტიანსი", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 53 მატჩი; ს ი ლ ვ ა, 26 წლისა, „ფლამენგო", 5 მატჩი: ტ ო ს ტ ა ო, 19 წლისა, „კრუზეირო", 5 მატჩი; პ ე ლ ე, 25 წლისა, „სანტოსი", 1958-62 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი, 63 მატჩი; პ ა რ ა ნ ა, 24 წლისა, „სან-პაულუ", 8 მატჩი; ე დ უ, 16 წლისა, „სანტოსი", 2 მატჩი, ა ლ ს ი ნ დ ო, 21 წლისა, „პორტუ-ალეგრი", 2 მატჩი.

◆ **კოპენჰაგენი** 4 ივლისი. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები — ინგლისის ფეხბურთელები ადგილობრივ სტადიონზე შეხვდნენ დანიის ნაკრებს გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0. ინგლისელი მიმომხილველების აზრით, გამარჯვებულმა ძალიან ცუდად ითამაშა.

◆ **ოპორტო**, 4 ივლისი. პორტუგალიის ნაკრებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა რუმინეთის გუნდი. ერთადერთი ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, შეხვედრის დასაწყისში გაიტანა ტორესმა.

◆ **ბრაილი** 4 ივლისი. ბულგარეთის ნაკრებმა აქ დაამარცხა ადგილობრივი კლუბი ... — 6:1 (4:1). ავსტრიის ფეხბურთელთა კარში 2 ბურთი გაიტანა ბულგარეთის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ასპარუხოვმა (მან მხოლოდ პირველი ნახევარი ითამაშა). თითო გოლის ავტორები არიან იაკიმოვი, დავიდოვი, დერმენჯიევი და კოტკოვი.

## მსოფლიო ჩემპიონატამდე






სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ალფრედო დი სტეფანომ დაამთავრა თავისი კარიერა. იგი უკანასკნელად თამაშობდა ესპანეთის „ბარსელონაში" და ამიერიდან აღარ გამოვა მწვანე მინდორზე.

ა. დი სტეფანო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებზე ინგლისში გაემგზავრება როგორც ესპანეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. დი სტეფანო შინაურ პირობებში შვილთან ერთად.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზის
დირექცია
აცხადებს ყველა ასაკის მსურველთა მიღებას ცურვის
გამაჯანსაღებელ ჯგუფებში.
მსურველებს შეუძლიათ შეიძინონ დილის, შუადღისა და საღამოს საათებში სამეცადინო აბონემენტები.
აბონემენტების გაყიდვა წარმოებს ყოველდღე, 9-დან 20 საათამდე. აუზის მისამართია: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 49-ბ.
აუზის დირექცია.



ИНДЕКС 66118 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 11 უე 05999